

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N10 ბინაზე,
მოქალაქე ჯუბიკო სვანიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის
გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხარეზავას ქუჩა N7ა/10 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ჯუბიკო სვანიძის წარმომადგენლის კახაბერ კვიციანიას განცხადებები /2014 წლის 06.05 Nკ-3167, 28.05 Nკ-3792/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N10 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ჯუბიკო სვანიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N10 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჯუბიკო სვანიძეს /პასპორტის N98 01 131815/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ჯ.გოგრიჭიანი/, ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N10 ბინაზე, საერთო ფართობი 70,07 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 28,49 კვ.მ, დამხმარე ფართობი 41,58 კვ.მ./ მოქალაქე ჯუბიკო სვანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი